გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 993

უშიშროების საბჭო,
ადასტურებს რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ კი 1995 წლის 12 იანვრის 971 (1995) რეზოლუციას, განიხილა რა გენერალური მდივნის 1995 წლის 1 მაისის მოხსენება (S/1995/342), კვლავ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ერთგულებას, გამოთქვამს შეშფოთებას კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის საქმეში არასაკმაო პროგრესის გამო,

მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს ახალ ფედერალურ პრინციპებზე დაფუძნებული კონსტიტუციის შესახებ მიმდინარე კონსულტაციებს, ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების კონტექსტში,

კვლავ ადასტურებს ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის, რომლებსაც შეეხოთ კონფლიქტი, უსაფრთხო პირობებში თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლებას, საერთაშორისო სამართლისა და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფილობით დაბრუნების შესახებ 1994 წლისდ 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილი ოთხმხრივი ხელშეკრულება (S/1994/397, დანართი II) დებულებების შესაბამისად,
გამოთქვამს სინანულს აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან ასეთი დაბრუნების საწინააღმდეგო მოქმედების გამო, რომელიც კვლავაც გრძელდება, და ხაზს უსვამს, რომ გალის რაიონში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება სასურველი პირველი ნაბიჯი იქნებოდა,

გამოთქვამს შეშფოთებას სახსრების კრიტიკული უკმარისობის გამო, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული პროგრამების შეჩერება გამოიწვიოს, შეახსენებს აფხაზეთში, საქართველო, შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრის (S/1994/1435, დანართი) დასკვნებს, კვლავ ადასტურებს, რომ მხარეებმა უნდა დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები,

აღნიშნავს, რომ გასული წლის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებას მხარეები ძირითადად იცავდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისა და საქართველოში წარგზავნილი გაეროს სამშვიდობო მისიის ხელშეწყობით,
ამასთან გამოთქვამს შეშფოთებას უსაფრთხოების პირობების უქონლობის გამო, კერძოდ, გალის რაიონში მშვიდობიან მოსახლეობაზე ამასწინანდელი თავდასხმების გამო,

გამოხატავს შეშფოთებას საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების პერსონალის დაცვისა და უსაფრთხოების გამო და ხაზს უსვამს მნიშვნელობას, რასაც ის ანიჭებს ამ პერსონალის თავისუფალ გადაადგილებას,

ასევე ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ის ანიჭებს უსაფრთხოების ზონაში შეიარაღების იმ სახეობათა და რაოდენობის შემცირებას, რომელიც მხარეებს შეუძლიათ ჰქონდეთ და მიესალმება გენერალური მდივნის განზრახვას გააგრძელოს მხარეებთან ამ საკითხის განხილვა,

გამოხატავს თავის კმაყოფილებას საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გამო შესაბამისი მანდატების განხორციელების საქმეში და მაღალ შეფასებას აძლევს მათ წვლილს კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში, ჯეროვან პატივს მიაგებს დსთ-ის სამშვიდობო ძალების იმ წევრებს, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1995 წლის 1 მაისის მოხსენებას:

2. ადგენს: საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატი გაგრძელდეს დამატებითი პერიოდით, რომელიც დასრულდება 1996 წ. 12 იანვარს, იმ გაგებით, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, უშიშროების საბჭო გადასინჯავს მას;

3. აცხადებს გენერალური მდივნის ძალისხმევის სრულ მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისაკენ, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის გათვალისწინებით; ასევე, იმ ძალისხმევის მხარდაჭერას, რომელსაც იჩენს რუსეთის ფედერაცია, როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გააქტიურების ხელშემწყობი მხარე, და მოუწოდებს გენერალურ მდივანს რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებითა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით განაგრძოს ძალისხმევა ამ მიზნით;

4. მოუწოდებს მხარეებს მოლაპარაკებებში მიაღწიონ არსებით პროგრესს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებითა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით;
5. დაჟინებით მოუწოდებს მხარეებს თავი შეიკავონ ნებისმიერი ცალმხრივი მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია გაართულოს ან ჩაშალოს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისა-კენ მიღწევისაკენ მიმართული პოლიტიკური პროცესი;

6. კვლავ მიმართავს მოწოდებით: აფხაზეთის მხარეს არსებითად დააჩქაროს ლტოლვილებისა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი იმ გრაფიკის მიღებით, რომლის საფუძველია ლტოლვილთა საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის მიერ შემოთავაზებული გრაფიკი და უზრუნველყოს რეგიონში უკვე სპონტანურად დაბრუნებულების უსაფრთხოება და მოაწესრიგოს მათი სტატუსი ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად;

7. მიესალმება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ის სამშვიდობო ძალების მიერ გალის რაიონში გამოყენებულ დამატებით ზომებს, რომლებიც მიმართულია ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირების უსაფრთხოებისა და მოწესრიგებული დაბრუნების პირობების გაუმჯობესებისაკენ;

8. მოუწოდებს მხარეებს, ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირების დაბრუნების უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფის მიზნით, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასა და დსთ-ის სამშვიდობო ძალებთან და ასევე მოუწოდებს მათ დაიც-ვან თავიანთი ვალდებულებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და დსთ-ის მთელი პერსონალის უსაფრთხოებასა და თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით;

9. სთხოვს გენერალურ მდივანს №971 (1995) რეზოლუციის მე-7 პუნქტის კონტექსტში განიხილოს ამ რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების გზების საკითხი;

10. კვლავ მიმართავს სახელმწიფოებს მოწოდებით, შეიტანონ თანხა ნებაყოფლობით ფონდში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვში, 1994 წლის 14 მაისს ხელმოწერილი შეთანხმების, აგრეთვე, ჰუმანიტარული ასპექტების, განაღმვის ჩათვლით, მხარდასაჭერად, როგორც ამას დონორები განსაზღვრავენ.

11. მოუწოდებს სახელმწიფოებს გამოეხმაურონ ერთობლივ უწყებათაშორის მოწოდებას, განსაკუთრებით ლტოლვილების უმაღლესი კომისრის სამმართველოს გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობასთან დაკავშირებით და მიესალმება სახელმწიფოების ყველა შესაბამის ჰუმანიტარულ წვლილს;

12. სთხოვს გენერალურ მდივანს ამ რეზოლუციის მიღების დღიდან ყოველ სამ თვეში წარმოადგინოს მოხსენებები აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) სიტუაციის ყველა ასპექტის შესახებ, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ოპერაციების ჩათვლით, და ადგენს, ამ მოხსენების საფუძველზე ჩაატაროს ამ სიტუაციის შემდგომი განხილვა;

13. ადგენს განაგრძნოს მუშაობა ამ საკითხზე.

12 მაისი, 1995